ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 17 ივნისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა კაკულიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

   (მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

   (მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

   თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: გ. ხურცილავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (ნ. შუშანია) ავადმყოფობის გამო არ იმყოფებოდა სხდომაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიის მიერ მომზადებულ საკითხს და კომისიის დასკვნას წარმოადგენდა ამავე კომისიის წევრი თენგიზ აბაკელია

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა კაკულიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. აბაკელია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრის თ. აბაკელიას მიერ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის წარმოდგენამდე, №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დათუნა ჯობავას სთხოვა საკრებულოსთვის გაეცნო მოკლე ინფორმაცია ყულევის თემის №66/17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს ჩატარებული შუალედური არჩევნების შესახებ.

დ. ჯობავა - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას და გააცნო მოკლე ინფორმაცია ყულევის თემის №66/17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს ჩატარებული შუალედური არჩევნების შესახებ, რის საფუძველზეც არჩეულ იქნა კობა კაკულია (შემაჯამებელი ოქმი თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: ე. წურწუმია - გამომსვლელი დაინტერესდა ყულევის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გამარჯვებული კობა კაკულია რომელი პარტიიდან იყო წარდგენილი?

მ. ლაგვილავა - გამომსვლელმა განმარტა, რომ კობა კაკულია წარდგენილი იყო საარჩევნო ბლოკიდან „ქართული ოცნება“ და არის პარტია „რესპუბლიკელების“ წევრი.

ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მომხსენებელმა თ. აბაკელია საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი

მოისმინეს: თ. აბაკელია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა კაკულიას უფლებამოსილების ცნობის

შესახებ“ და სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს მაჟორიტარ წევრს ყულევის თემის N66.17 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან შოთა სირაძეს ვადამდე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, მისი ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის გამო, რის საფუძველზეც 2016 წლის 22 მაისს ყულევის თემის N66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები, რომლის შედეგების თანახმად საკრებულოს წევრად ყულევის მაჟორიტარულ ოლქში არჩეულ იქნა კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი კანდიდატი კობა კაკულია. N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიიდან მიღებული შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა კაკულიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: გ. ხურცილავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N37 ოქმს თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ მიულოცა საკრებულოს წევრს კობა კაკულიას არჩევა და უსურვა მას წარმატებები სამსახურეობრივ საქმიანობაში და სთხოვა მას, რომ დაეკავებინა მისი კუთვნილი ადგილი.

კ. კაკულია - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ყულევის ამომრჩევლებს მხარდაჭერისთვის, ასევე მადლობა გადაუხადა მის წარმდგენ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და მზადყოფნა გამოთქვა, მაქსიმალურად გამოეყენებინა თავისი უფლებები ყულევის მოსახლეობის ინტერესების დასაცავად.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი);

მოისმინეს: მ. რუხაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ფილიპია - გამომსვლელმა წუხილი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში არ არის არცერთი შენობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მოსახლეობასთან შეხვედრა.

მ. რუხაძე - გამომსვლელმა, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს უფლება აქვს შეხვედრების გამართვის თაობაზე ნებართვა გასცეს მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე, პირველ მაისში არსებულ ადმინისტრაციული შენობაში განთავსებულია საარჩევნო უბანი, შესაბამისად იქ კანონით დაუშვებელია შეხვედრების ჩატარება. კერძო საკუთრებაში არსებულ ფართებს რაც შეეხება, დაინტერესებულ პირს შეუძლია შეთანხმების საფუძველზე იქ ჩაატაროს შეხვედრები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის N03/06/02 განკარგულებით დაინიშნა საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები 2016 წლის 8 ოქტომბერს. წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს №66 ხობის საარჩევნო ოლქში წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის

პერიოდში შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთას, ამასთან წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების გასამართად ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, ასევე ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება წინასაარჩევნო აგიტაციისთვის განთავსდეს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატები და განცხადებები. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თუმცა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ გარე განათების ბოძებზე და მგზავრთა მოსაცდელებზეც დაიშვას ნებართვა საარჩევნო სუბიექტებისთვის სარეკლამო პლაკატების განთავსებაზე, რაზედაც კომისიამ წარმოადგინა განკარგულების მე-3 პუნქტის ცვლილება შემდეგი რედაქციით: „3. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განსათავსებლად გამოყენებულ იქნეს იქ მდებარე გარე განათების ბოძები, მგზავრთა მოსაცდელები და ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა."

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით კენჭი ეყაროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ წინადადებას განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბების თაობაზე: „3. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განსათავსებლად გამოყენებულ იქნეს იქ მდებარე გარე განათების ბოძები, მგზავრთა მოსაცდელები და ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა."

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 2 (ე. წურწუმია, კ. ლატარია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ზარანდია, გ. ხურცილავა)

კენჭი ეყრება გამგეობის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 2 (ე. წურწუმია, კ. ლატარია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ზარანდია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N38 ოქმს თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ საკრებულოს წევრმა ედიშერ წურწუმიამ განაცხადა, რომ მმართველი გუნდის მხრიდან ნუღარ მოხდება მოსახლეობის დაშინება, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ თავად საკუთარი პარტიისთვის ოფისის დაქირავებას ვერ ახერხებს, რადგანაც რომელ ოჯახშიც მივიდა ოფისის დასაქირავებლად, ყველა იმის შიშით, რომ იგი ოპოზიციაშია, არავინ არ მიაქირავა საოფისედ სახლი. მისი თხოვნა იქნებოდა, რომ ნუ დაძაბავდნენ წინასაარჩევნოდ მუნიციპალიტეტში სიტუაციას და მიეცათ მოსახლეობისთვის თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება.

ე. ჯობავა - გამომსვლელს სთხოვა, ცრუ ინფორმაციის გავრცელებისგან თავი შეეკავებინა, რადგანაც ასეთი შემთხვევები არც მუნიციპალიტეტში და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით არ არსებობს. მუნიციპალიტეტში ამ მხრივ არის სრული სიმშვიდე და არავინ დაჩაგრულად არ გრძნობს თავს. საჯარო სამსახურშიც მუშაობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც შეიძლება ოპოზიციას უჭერდნენ მხარს, თუმცა ამის გამო მათ არანაირი პრობლემები არ შექმნიათ.

მ. ლაგვილავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საჯარო სამსახურში მომუშავე მოსამსახურეებს უნდა ჰქონდეთ უფლება საკუთარი აზრი გამოხატონ თავისუფლად და შეზღუდულები არ იყვნენ ამ კუთხით.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ საჯარო მოხელეების სიტყვის თავისუფლება არაა შეზღუდული და სთხოვა ორივე გამომსვლელს პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისგან თავი შეეკავებინათ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. დოდო გაბუნია
6. ლევან ქავთარაძე
7. თენგიზ აბაკელია
8. ვასილ კუკავა
9. როსტევან გვარამია
10. მალხაზ ლაგვილავა
11. გენადი ქაძანაია
12. ფრიდონ შონია
13. იგორ გოგოლაძე
14. ირაკლი ნადარაია
15. მზია ლემონჯარია
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. ედიშერ წურწუმია
20. მალხაზ ყურუა
21. კახა მიქაბერიძე
22. ბეჟან ქირია
23. გიორგი ხურცილავა
24. მერაბ ნადარაია
25. გენად ზარანდია
26. მერაბ ფილიპია
27. კახა ლატარია
28. ლეონიდე ლოლუა